სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 5 21 0001078858

12/10/2021

უცხოური ენის უფროს მასწავლებელთა მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის №01-05-04/140 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ :

1. 2021/2022 სასწავლო წლისთვის გამოცხადდეს მიღება უცხოური ენის (რუსული ენა, ინგლისური ენა) უფროსი მასწავლებლის პოზიციებზე.
2. დამტკიცდეს გამოსაქვეყნებელი განცხადება, ინფორმაცია სამუშაო პირობების შესახებ და კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართის შესაბამისად.
3. კანდიდატთა განცხადებები მიიღება 2021 წლის 14 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით, უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტში - თბილისი, კოსტავას,77, სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული. განცხადებები ასევე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით - info@gtu.ge-ზე.
4. კანდიდატი, რომელიც არ ფლობს C1 დონეზე შესაბამისი ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ვალდებულია ჩააბაროს გამოცდა შესაბამისი დონის დამდგენი ტესტის სახით. გამოცდის და გასაუბრების თარიღების თაობაზე კანდიდატებს ეცნობებათ მათ მიერ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით.
5. კონტროლი პროცესის მიმდინარეობაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.

6. ბრძანება გამოქვეყნდეს ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).



რექტორი
გურგენიძე დავით